ფაქტის და სხვ. და სხვ. ქალების გაგზავნისა ქ. ტფი-ლისში. აქ უმეტესად არის მესანიშნავი ქალების სასწავლებელი, რომელიც დაფუძნებული არის კნეინა ვორონცოვის შეწირულს ფულზედ, და ეგრეთვე არსებობს კერძობითის შეწირვით. იმასში სწავლო-ბენ 35 ყმაწვილი ქალნი, რომელნიცა ფრანცუ-ზულში წარმატებიან როგორათაც რუსულს ენაში, ეგრეთვე ქსწავლაში. გიმნაზიაში, სადაც არიან 200 მოწაფენი, წარმატება არ არის ნაკლები. ის ითვლება უპირველეს გიმნაზიათ საქართველოში, რადგან იმერნის ყმაწვილნი არიან დაჯუქრებულნი მასწავლის გონიერებით და ადვილად ითვისებენ აღზრ-დას. უკეთესი სახლობაში მიღება არის დიდათ გულითად: არც ერთს უცხო ქვეყნის კაცს, არც ერთს მგზავრს არ დაუტევებიათ ქუთაისი, რომ არ მიეღოთ იმისს საზოგადოებისთან გუ-ლითადი დამოკიდებულობა. ზამთარში, როდესაც იწყებს მოსვლის წვიმა და თოვლი, ქუთაისის საზოგადოება, განათლებული საკუთრივ ქალაქ-ის მსგავსად, აკეთებს ბალებს და ვეჩერებს, სადაც ტანცაობენ კერძობით სახლებში. ქუთაისში არის ეგრეთვე კლუბი, რომელშიაც ყოველს კვირას თვეში ორჯერ დაიარება საზოგადოება. გაზა-ფხულში, რომელიც ამ მხარეში იწყობა ძალიან

ადრე, აქ მედეგთან კვალკალები, მცირე მეზაგ-
რობები მშვენიერს ორღ-მორღვებში და სხვანი მს-
გავსნი დროს გატარებისა. როცა დღეები ზაფხუ-
ლის თვისის სიცხეებით და აღმოსავლეთის ცხელის
ქარებით, მაშინ საზოგადოება მალ დატოვებულია
დაუცველს ქუთაისი, განშორდნის და მოსხვენის
გრილი საზაფხულო ადგილები შემოდგომამდე,
რომლის შემდეგ ქალაქითვან გასული კულის-
ლად ჩამოიკრიფებიან, მოწყენილის ზამთრის,
მხიარულად გასატარებლად.

ვსთქვათ რამდენიმე სიტყვა ბაზარზედ, რომე-
რაიც მთელი ქალაქის ვაჭრობის შუა გულზედ.
რომელზედაც ჩვენ წინეთ ვსთქვით აქაური ვაჭ-
რობა არის სომხების, ფრანგების და ურიების
ხელში. შუაში ბაზრისა: ჩრდილოეთიდგან სამხ-
რეთისკენ მიდის განიერი ქუჩა, რომელსაცა
აქვს სიგძე სივრცე, მერმე მიბრუნდება აღ-
მოსავლეთისკენ და თავდების ბოლოვადა. ორივე
მხარეზედ ამ ქუჩის არის ბაზარი, შეკვეცილი
რიგზედ დუქნების ყოფნით. აქ სწარმოებს მთე-
ლი ქალაქის ვაჭრობა. აქ ფიდის: საყასბოები;
მწვანილეული; ფოცხვი სამკითხ სხმლიდი; მაც-
ლიი, ბანა, აბრეშუმი, ფაჩი, დაკორული
მარილები, დანაი და მერდინები; სხვა და სხვა ოქროს

და ვერცხლის ნივთები: უნაგირები, იარაღი, სხუა და სხუა ტყავების ქალთისაქმნარნი, რომელთაც აკეთებენ თვით აქაური მცხოვრებნი. მეორეს მხარეზედ დუქნები არიან უფრო დიდი და თქუენ შეგიძლიანთ იპოვნოთ აქ ყველა, რაცკი თქუენთვის საჭიროა. — აქაური თუ ევროპიული საქონელი. აქ არის მაუდეულის, აბრეშუმის და ხავერდის ნაქსოვები, მაუდები, კრუჟავები, ფეხთ-საცმელი, სწვრიმალო ნივთები. ვაჭრობა ეგრეთვე სწარმოებს სხუა და სხუა უცხო ქვეყნების მაღაზიებში, დაფან-ტულებში სხუა და სხუა სახლებში. ბაზარი სავსეა ხოლმე ხალხით, მაგრამ უფრო დიდი ხალხი შეიყრება პარასკეობით, რადგან აქ ამდღეს ყოველს კვირა არის ბაზარი. ქალაქის გარემო სოფლებში მცხოვრებელთ ჩამოაქვთ აქ გასაყიდად სხუა და სხუა ადგილობრივი ნაყოფი, ესე იგი: კარტოფილი, ჭარხალი, ლობი, ღვინო, ყურძენი, წაბლი, თევზი, ნანადირევი, თაფლი, თუთუნი და მინაური ფრინველი, და წარმოება, რომლებიდგანაც ღირსნი არიან ყურადღებისა ბამბა და აბრეშუმი, რომელნიც აქ არიან დიდს ალებ-მიცემაში, და გიშრის კრიალოსნები, რომელნიცა აგრეთვე არიან დიდს ხმარებაში და დიდათ მოდებულია, ასე რომ ამ საქონელს, არამც თუ ხმარობენ იმე-

რუაში, არამედ უზავნიან საქართველოში და რუ-სეთში. გამოსცემენ აგრეთვე მშვენიერ ფარჩებს, ჯანმრთელობისათვის მკურნალებს და სხვა და სხვა სახ-მარ ნივთებს.

რომ სრულებით გავათავოთ აღწერა ძველის ქა-ლაქისა, უნდა ყურად გავაცნოთ ჩვენის ალის-ვარის მკითხველნი აქაურ ურიების სასინ-აგოგის და ამასთანავე მოკლედ აღვწეროთ, თუ როგორ და საიდან გადმოსახლდნენ აქ ქუთაისის ურიანი? — გვიამბობენ რომ ისრაელის სამეფო 722 წელს, ასსირიის ჴელმწიფემ სალმანასარმა, მრა-ვალნი ურიანი გადმოასახლა მცირეს აზიაში, აქედგან ზოგნი მათგანნი გადასახლდნენ კოლხიდაში, ეხ-ლანდელს იმერეთში. აქ იმათ დაიწყეს წასვლა-წამოსვლა ქალაქებში და სოფლებში, და რადგან არა ჰქონდათ მისწრაფება მიწის მუშაობისადმი, ამისა-თვის ყოველს ადგილს მისდევდნენ ვაჭრობას. ქუთაისი იყო იმ დროებში პირველი ქალაქი იმერეთში და მიიზიდა ესენი თავისთან, და რა ნა-ხეს ურიებმა მეტი წარმატება ვაჭრობისა აქ დასახ-ლდნენ ცალკე ქუჩაში; ესრეთ უნდა ვიფიქროთ. ურიების გარეუბანი ჰსდევს მთის დაღმართზედ შემაღლებულზედ მთების შეერთებაში, რომე-ლიც გარედ ერტყმის ქუთაისს და უჭირავს უკე-

თესი ნაწილი ქალაქისა. ეს გამყნებს განგრძელე-
დება ორის მხრით კარვათ განიერის ქუჩისა,
რომელიც მდებარეობს მდინარის რიონის პირზედ.
ეს ქუჩა იყო ერთი მეწლ ქუჩათაგანი, რომელთაც
ნახვას ჩუენ ვართ მიჩუეულნი აზიის ქალაქებში.
მისი სივიწროე და აღმოუსწყვეტელი ტალახი უმ-
ლიდა თავი ურიებს სიარულს. ესლა უკეთესის ქუ-
თაისის ქუჩებს რიცხუს მეკუთვნის ეს ქუჩაც,
რომელიც არის მოკირწყული ქვით და აქუს აქეთ
იქით ნაპირებში არხები, რომელთაც ჩაჰყავსთ ყუ-
ველი უწმინდურება მდინარეში. სახლები ურიებისა
სულ ხისა არიან და ნაწილი არიან დადგენილნი
შეუწყვეტელ რიგობითა ქუჩაში და ნაწილი მათზედ
აქა იქ ბაღებში. გარედგან ისენი არ არიან გა-
თეთრებულნი, როგორათაც შიგნიდგან. ტახტები,
უბრალო სკამები და სტოლები შეადგენენ მათ
კუთვნილობას. მომეტებულად იქნება აქ, ურიების
სურათის წარმოდგენა, რადგან ამათი ტიპი ერთი
და იგივე, რომელს მხარეშიაც უნდა სცხოვრებდნენ,
მაგრამ განსაცვიფრებელი ეს არის, რომ ამათ მეწლის
კაცებს პირის სახეზედ აჩნიათ რაღაც რამ ქალუ-
რი სახის შეცვეწლება, ახლოდან თითქმის რაღაც
სამამარი ნიშნები, მაგრამ მათ შუა შეხვდებიან
ხოლმე პატივცემულნი მოხუცნი, სუქანნი, თეთრის

წვერით, მოამჭკრუწელის მკვიდრულობით, რომელ-თაც სრულიად ეკარგებათ ეს ნიშნები.

ურიანი არიან კაცნი გულწრფელნი, კეთილის გულისა, შრომის მოყვარენი, კაცნი მოუდრეკელნი სარწმუნოებაზედ და მტკიცენი თავიანთ ლოლმაცებ-ზედ; მაგრამ იმათში უფრო ეს არის საქები რომ ერთად იყოფვენ ერთმანეთში როგორათაც ბედ-ნიერებას, ეგრეთვე უბედურებას. საკუთარი საქმე კაცებისა არის ვაჭრობა. ზოგიერთნი იმათგანნი კიდეც დადიან სამზღვარს გარეთ საქონლის მო-საცვანად. დედაკაცნი ქსოვენ, ართავენ, ყურს უგდებენ სახლკარს და შვილებს, და არ უცსოვებენ სხვათა სარწმუნოების კაცებთან. ურიებსა თავი-ანთს უბანში, რომელსაცა უწოდებენ აქ გარეთუბნად, აქვსთ სალოცავნი ოთხნი, ესე თორანი მთელს საქართველოში არიან სამნი, ანუ ოთხნი. ურიები ინახამენ ყოველთ მეწლით თავიანთ უქმეებს, რო-მელთაცა გარდაიხდიან მოსეს სჯულის წესით. უპირველესი რაბინი, მიიღებს თავისის ღირსების კურთხევას იერუსალიმში აჲსის ჰაკრიარხისაგან, რომლისგანაც ის არის დამოკიდებული. ამ რაბინ-სა აქვს საკუთარი ზედამხედველობა და მოქმედება თავისს სამწყსოზედ, გარდასწყვეტს იმათ შორის საჩივრებს, ართმევს ჯარიმას დამნაშავეთა და სხვას.

ამან იცის კარგათ ებრაული ენა და კარგათ წაუ-კითხავს ძველს რჯულებს.— ესლა გადავიდეთ ძველ ქალაქის აღწერაზე:

გარდა ამ ახალის ქალაქისა არის კიდევ ძვე-ლი ქალაქი, როგორათაც მე ზემოთ ვსთქვ. ეს არის უფრო სხვაზედ მეტათ შესანიშნავი ისტო-რიულის მხრით. ამ ძველს ქალაქში მისას-ვლელად უნდა გადასჯდეთ ქვის ხიდზედ, აღშენებულს მდინარეს რომზედ. გზა წინაპირველად მიდის მდინარის პირზედ, შემდეგ მიუბრუნდება მარ-ცხნივ და გადა უწინდელის ციხის გზაზედ. ღმერ-თმა იცის, ადრე როგორ დადიოდნენ ამაზედ, მაგრამ ესლა დიდის ცხენჯვით დაიარებიან დრომა-ქები. აღმართი საშინელია; ციცაბოა; კლდოვანია თუ კი ბაგრატიონისაგან აშენებულს ცამომდე. დიდის გაჭირვებით მიმავალი კაცი აღწევს სიოლმე ზე-მოთამდე

ძველი ქალაქი, რომელიც ას ორმოც და ათი წელიწადია, რაც მოესპო უფროსს თავისს სასხო-ვარს, — მშვენიერს სიმართეს და მაგარს კედლებს, ყოვლის მხრით ლიაა და განმიშლებული ყოვლის დიდებისგან კიდევაც დაჭყურებს მის ახალს ქალაქს, ვითა მოგლობილი. ეს ძველი სიმართე სდგას ერთს მთის ცდაბს დაღმართზე.

რომლისა ძირს შეღეგში რიონის კიდე. ამ სობო-
რის გარშემო მთაზედ აქა-იქა მოჩანან ხის სახ-
ლები, ბაღები და ქუჩები. ქუჩა ძლიერად ერთია
გახსნილი, ამ ს. სახლების შორის არიან ორნი თუ
სამი ქჳს სასახლე. რადგანაც ქუთაისი ქალაქ
იწ-ს ხოლმე სიცხისაგან, მაშინ აქაურნი მცხოვ-
რებნი განიცხრებიან უმეტესის განმაცოცხლებელის
სიგრილითა. აი ამ ალაგების შუა, რომელთაც
ასხივებთ სამხრეთით ღელეები იმზირებიან ოქროს ნაწ-
მისა, ალაგებიან უსწორონი და ღრმადებისგან
შემუსვრილი ნაქცევები ბაგრატის ტაძრისა. სო-
ბორო, რომლისათჳსაც ოქმა დიდმა ბაგრატმა,
XI-ს საუკუნეში გამოჩენილ მეფეთ თავისა საქარ-
წივურ საუნჯე და კეთილობა უკეთესის სამეფო-
ნეთის სიმდიდრების, რადგან ეს სასახლე უკე-
თესის მთელს საქართველოში, ეხლა განქცეული
სასაფლაოდ. დღევანდლამდე ცხანს იმისი თვალი
მაღალი კედლები, რომელნიც მაინც ეჩვენათ
იმისთანა დიდი შენობა, და მშვენიერება ფერადგანის
გამოქანდაკებულის. შესასვლელი კარები, რომე-
ლიც საკურთხეველის მარის-მარ მდებარე, აგო-
ნებს კაცს ძველის კარიბჭეებს რომის მაშენე-
ბისას სუწყებით, მაგრამ ეხლა ესა არის უმეტეს-
სა ვა დაქცეული სუწყების თავების სხვა და

სხუა ჩუქურთმით მოვარაყებული და ქუწნისა დარ ჩომილის გამოქანდაკებითა· ჩრდილოეთის მხრის კედელი სიგრძეზედ მეტად მორჩენილია. დრომ, რომელიც ყველა ნაქცევებს შემოსავს ბოლოვერს ფორმებში, შესცვალა მდიდარნი ჩუქურთმები ჰფერს ბაწმალზედ, რომელიც ამოსული ერთის მთიდან სავანეებით დასურავს ფარდის გვარად მთელს ჩრდილოეთის კედელს, და ბაზარა ჭურჭის მომართაბაში ითხუა, ქნარობს და მოიალგეს და რომელიც აჰგონებს ყოველის განმხილველის ყურადღებას.

მაშინ დიდ ნგრევის ბაგრატის ტაძრისა, იყვნენ მისაგანნი ურთიერთის შორის განხეთქილებანი მეფეებთა და მთავრებთა შუა, რომელთაც არა ჰქონდათ დიდი ღონის ძიება. მოიყუანდენ თავიანთ საშუელად ოსმალოებს და მათს მცხოვრებლებს, რომელთაც ჰქონდათ არცა თუ მცირე პატივისცემა სიწმიდის. 1691-ს წელში ახალციხის ფაშამ დაადგინა რა ალექსანდრე მეოთხე ტახტზედ, პირველად დაამხუმრია ქუთაისის სიმაგრე და რა არ ჰქონდა ძალა მაგრის შენობის სამირკუელის დანგრევისა, კუთხეებში შეუდო წამალი. დრომ და ხალხთა დაასრულეს მისი დაქცევა. სოლომონ მეფემ, რა ნახა თავისი გამოუსვლელი

მდგომარეობა, ქუთაისიცა დგას მაცხოვრებს მომწვ-
ობა, რომელმანც გამოუყვანა ძველნი ლექსიკონო-
ცხოვრებისის კვალ მშვენიერებით. მაგრამ ბრ-
მოლეულმა მეფემ დაიწყო იმა ოსმალებთან,
თავის მოკავშირეების მოსპობამდე და კიდევაც
გამოყარა ოსმალების მეციხოვნენი ქალაქიდან.
რუსებმა შეასრულეს დაწყებული დამარცხებანი და
გამოყარეს ყველა ციხეებიდან ოსმალნი. მაშინ
ხმამაღლა რწმენით ხელმწიფემ მეფემ დასკვნა
დანგრევა ზემოთის ქალაქისა და ყველა ციხეებისა
რომ აღარ მიეცა საშუალება ოსმალებისათვის მის
სიმშვიდის დარღვევისა. სასახლეებიც იყო იქნება,
მაგრამ სამწუხაროდ რჩებოდა იმერეთის დიდება თა-
ვისის ალექსანდრეს სამარხის. ის სდგას და აშორებს
ზამთარზეულს. მიდგმით და ცარიელ მოლოცვილია
ბოლსით და ბუჩქნარით; შემოსლოცვილია საყდარის
ქვ... მეწლის და ასულებით და არ არის დაცულ-
ლი წმინდათ.

სამოთის ნანგრევების რამდენიმე ნაბიჯის
შემდეგ აღმოსავლეთისაკენ სჩანს ნანგრევები: ეს
ნარჩენია ციხისა, რომელიც უწინდელის საკუთრება
იყო გამოჩენილი ლაშქრის მეფეთა დროებში
და ითვლებოდა მოუკარებელ სამაგრედ ავსაზე
მეფეების, რომელნიც იყვნენ მფლობელნი მთელი

საქართველოზედ. მეფემ სოლომონმა სრულიად გააუქმა თავისი მესაფარებელი თავისის წინაპართა, თვითქმის წინათვე გრძნობდა, რომ ქუთაისს მეფუ-ბიდა ამაზე დაფიქრება. ესლა აქ ერის გამქრ-ბულს ძველისამი ინასების წამალია; დასავლეთის ჩასავალს კლდეში, აღმოსავლეთის ჩაჭყავს რამდენიმე-ვიწის ფუტ...ით გამოკვეთებულს წყაროსთან, რომელიც სამით აღმოჩქრიალებს ფრიალოს კლ-დის ძირში, და რომელიცა ერთვის რიონს. ჰავა-რა ციცილიდამ, როგორიათაც სჩანს, აქიდამე მი-დიოდა ქვა გდებული მის თავზედ, რომელიც შეიმკრობოდა ბაგრატის სასახლის და მეფეების სასა-ლეებს და დაემტვრთოდა დღემარიზედ რიონამდე. ესლა ამათ მაგიერად სდგას ქვის სასლი ეპისკო-პოსისა, და ერთი სადგომი, სადაც არის სასულიე-რო სასწავლებელი: დიდნი სუები, მონასტერი-ცისის მეფე გელს უნარ ლეკნ მომსვლელთ ხიცხვში.

რა მშვენიერი სანახავი ადგილი! იმ სიმა-ღლიდამ, რომელსაცა ვერც დრომ და ვერც კაც-მა შესძლეს მოსპობის ქმნა, დაინახების შემდგომა პოეტიკური სურათი: რიონი ღელს ციცაბის კლდე-ების ძირში, მოუცობის რა მოდის ზღვისაკენ და ჩამორეცხს თავისს ნაპირებს მოცულთ მდიდარის

მოზარდულობით. ბორის წინ მდებარეობს კოშკი-
მილი ქვითი. ქალაქი ავსებს იკრებს ბაღებში
შემორტყმული რიონის მამასახლისის მდინარე-
ობით. მაღლა ცხენ სერობაში მდებარობს მონასტ
გელათის მონასტერი. წინადაადგილსავე, თქვენს
წინ იდგნენ მთელი დათოვლილი რიგობა კავკა-
სიის მთებისა. ასეთი სახე, ულვაშიანს მთები,
ერთ ერთის მშვენიერის მაზრებისა. მათ შუა
ამართებულნი ალისდგება სიმელი. მარჯვენივ მხე-
ცხერი ქედი რაჭის თესის მთით, სადაც აქეს
რიონს სათავე,—ამასთანავე ამ უკანასკნელმა მიიღო
ბერძნებისაგან სახელი ფაზისისა, რომელიც მორა-
წყავს იმერეთს და მეგრელიას, სადაც ვეში სა-
ვალი მოიარნებენ და ბოლოს დროს შეაერთებს
თავის ტალღებს შავი ზღვის ზვირთებთან. სამხრე-
თისაკენ იდგნენ გორიზონტზედ დიდათ მშვენი-
ერნი ახალციხის და გურიის მთები, დაბურულნი
მაგარ ტყეთ და ალაგ-ალაგ დათოვლილნი უმეტეს
ნაწილს წლისას.

სხვაგან მარის უნდა მოვიხსენიოთ ქვემაცა
რომელიც მმართებლობამ დაუთმნა აქ უწყეთს
მდგომარეობაში მოსავლიანი მიწის მუშაობისა,
ჭედომამულის მართვისა.

ქურმა არის მთის მარის მასწრობილად, რომ-

მეოთხედაც სდგანან დღევანდლამდე დიდნი ნანგრევები ბაგრატის ტაძრისა, მამასადამე წინაალმდეგ ქალაქის ნაპირზედ რიონისა. იმას უჭირამს ორმოც და ათი დღიურამდე, მაგრამ სულ ეს სიფართოვე არ არის სულ შემუშავებული, ნახევარი მეტი რჩება შეუმუშავებლად, რომელსაც წარუმატებს მისი დაქანებული მდებარეობა და მიქცეულობა აღმოსავლეთისკენ. ფერმა საკმაოდ კარგად არის შემუშავებული; დაყოფილი ქვემით დაყრილის სეივნებით. იმათ გვერდებზედ გარიგებულია სხვა და სხვა სამხრეთის ხეებთაგან, რომელთ შორის არიან შესანიშნავნი: ფიჭვ, ნაძვ, დაფნი, ზეთის ხილის ხეები და სხვანი; ხილი, სხვა და სხვა ყვავილები, და ბოსტნეული აქ დიდს სიმრავლეშია. ფერმის შუაში, მაღლობზედ სდგას ქვის თეთრი სახლი, მხოლოდ ერთი სართი ქუთაისში დასურული ტოლით, სადაც სცხოვრებენ ფრანცუზი აგრონომი და რამდენიმე მებალეები. აქავე არის ორანჟერეა, სადაც ზამთარში ინახავენ ყვავილებს, ლიმონებს და ინჯაის ხეებს.

დამაფუძნებელი ამა ფერმისა იყო განსვენებული კნიაზი გაგარინი, აქაური უწინდელი გენერალ გუბერნატორი, რომელმაც დაიწყნა იმ აზრით, რომ უჩვენოს მდგომარეობაში მიეყვანა აქაური

მიწის მუშაობა, ბაღის შემუშავება და სახლის გა-წყობა. იმას ქონდა სურვილი, რომ აქაურთ შეძა-ყონეებით მიეცათ თავიანთ ელეს-კაცებიდგან, უმა-წვლი ბიჭები სასწავლებლად ფერმაშიდ, რამდენ-სამე დროს, რომ აქაურთ მეცხოვრეებთ წაელოთ ფერმიდგან თესლეული სხვა და სხვა მცენარეე-ბისა, გასავრცელებლად თავიანთ მამულებში. წინა დღეებითი განზრახვა ესე ვერ აღსრულდა და ფერ-მამ ვერ მისცა კმაყოფილება თავისს დანიშნულო-ბას, ამისთვს რომ ძლიერ იყო ომი ფიცხელი ოსმალოებთან და შემდგომს, უდროოთ სიკუდი-ლი კნიაზის გაგარინისა. ესლა, როდესაც ყოველი დამშვიდებულია და დრო ესმარება ყოველს სასარ-გებლოს საქმეში, ფერმას ხელი მოჰკიდეს გულს მოდგინებით, ჭაობიანი ალაგები გასწმინდეს და მიალაგ-მოალაგეს. წყლიან ალაგებში გაიყვანეს არხები და დაამრეს, მისცეს თავისუფალი ნება აქაურთ მცხოვრებთ თესლეულობის წაღებისა; მიიღეს უმა-წვლი ბიჭები სასწავლებლად; დაიბარეს მაშინები და არის იმედი, რომ ფერმა ამ ცოტას ხანში აღასრულებს თავისს მნიშვნელობას და მოჰსცემს დიდს სარგებლობას თავისს მამულს, უმაწვლნი ბიჭები, რომელნიც ახლა სწავლობენ ფერმაშიდ ასწავლის დროს შემდეგ დაბრუნდებიან თავიანთ

შემავლონესთან. აქ ისინი დაიწყებენ მიწების და ბა-ღების შემუშავებას იმ ღონის მიხედვით რომელიც ესწავლებათ ფერმაში; გარდაიცვლენ სხვა და სხვა საუკეთესოს სკოლებს, რომლისაც მიილა არ არის ეჭვი იმათ კარგათ გულოდინებით. მოიყვა-ნენ უკეთესს მდგომარეობაში მიწას და უწმელიებენ ხენიანს ნაყოფიერებას. მეცხოვრებნი, რა დაინახავენ ნიკეთეს ამ შემუშავებისას, თვითონვე გადმოიღებენ ამ სწავლის და ეგრეთ უკეთესს მდგომარეობაში მოყვანილი ღონისძიება ყოველგან იქნება მიღე-ბული. განამშვენიერებენ რა მიწის მუშაობას, ბა-ღების შემუშავებას და ადგილმამულის მართვას ეგრეთვე უმშვენიერესს მდგომარეობაში მოიყვანენ

ქუთაისის მცხოვრებნი ფერმის ალყვავილებით და მასთან კარგის გზის გაკეთებით, რომელიმოაც ეხლა არის დიდი ნაკლულევანება, დიდად ისარ-გებლებენ, ეხლა იღუპებიან სესილის და მწვანი-ლეულის სყიდვით, რადგანაც მოაქვთ გარემოს სოფლებიდგან, ზოგჯერ მეტად და ზოგჯერ ნაკ-ლებ ფასად. რა რომ თვითონვე გულდინებით მცხო-ვრებთ მიწის შემუშავება, მაშინ მოიყვათ მომავლე-ბული სილი, მოსცხნეული ფერმიდგან, სადაც მოი-ყვანენ მრავალს. —

თ. ზაქ. ერის-თავი.

აპრილის იე-სა დღესა, ჩყა-სა წელსა. ქ. ქუთაისს.

# ჰაიოსიანთ გუარის წოდებისათჳს (*)

ნოემ შვა იაფეთი, იაფეთმა შვა თირასი, თირასმა შვა გამერი, გამერმა შვა თორგამოსი, თორგამოსმა შვა სახელოვანი მამამთავარი ჰაოსი, რომელიც იყო გმირი და დამორჩილებელი ყოველთა თანამედროვეთა თჳსთა, როგორათაც მოგვითხრობენ ყოველნი ისტორიკოსნი. შვილნი ამისნი დასახლდნენ ჩრდილოეთის მხარეს სხუა და სხუა ადგილთა შინა, ხოლო ესე გულოვანი ჰაოსი იყო, ვითარცა ერთგული მონა და დამკჳდრი მახლობლად არარატის მთისა, სადაც შესდგა წმინდა კიდობანი ნოესი, რომელსა სწჳრევდა ესე ჰაოსი პატივისცემითა, ვითარცა განმათავისუფლებელსა კაცთა ნათესავისასა: ამა ჰაოსმა მოჰკლა რა დიდათ

(*) რადგან ჰაიოსიანნი ძველთაგანვე ჩუენი თანამოძმენი არიან, ამისათჳს რაც რამ ამათ გუარის ჩამომავლობას და ისტორიას შეეხება, დიდის კმაყოფილებით ვბეჭდავთ. ამასთანავე უნდა ვახაროთ «ცისკრის» მკითხველთა, რომ ჩუენს ჟურნალში მოიღებს ადგილად წვრილობითი მონაწილეობა ორთა ჰაიოსიანთა ახალგაზრდათაცა ანდრია ცერ-ყაზაროვანცმა და უზუნბაშიანცმა, რომელნიცა ვპირდებიან გადმოთარგმნას ჰაიოსიანთ, სპარსულის და სხუა ამის ენებიდგან იმ საისტორიო ანბავებისა, რაც რამ ჩუენს ქუეყანას შეეხება.—

რედ. ბ.

განმჴნებული სწავლით, და მით დაუცვეს განმრავლებულის მამამთავრისა თჳსსა უკუდავი სახელი თჳსი, რომლისაგამო გვწოდებით აწ ჭანი ანუ ქართულის ენით ჭანისანი.

თუმცა იყვნენ ეგრეთნი გლეხნი ქართველნი, რომელნი არ იცნობდნენ არარაჲს მათს და თჳთ ცხოვრებდნენ ჩრდილოეთის მხარეს და ჩუენ ქუეყანას სცობდნენ თავიანთ სამხრეთის კერძოთ, ამა მიზეზისაგამო თავიანთ ენაზედ ჩუენს ქუეყანას უწოდეს სომხეთი, რომელიც გამოვალს მათის წიგნურის ენით სამხრეთის ლექსიდგან, და ჩუენ მათ მცხოვრებთათჳს უწოდებიათ უმესხეთერო სომეხი, გარნა წოდება ესე არის სრულიად უკანონო და უთანხმო ჩუენის წოდებისა, რომელზედაც მემოწმებიან მე სხუა და სხუანი ისტორიკოსნი; გარნა სწავლულთა და მცოდნეთა კეთილშობილთა ქართველთა უწოდებიათ ყოველთჳს ჩუენის სალხისათჳს ჭაიოსიანად, და არა სომეხად; ამისთჳს, რომელ უთანხმო არის ამა ქუეყნისა დამაფუძნებელისა ნათესავთ მთავრისა ჭაოსისა წოდება ესე. მამასადამე სჩანს, რომელ ლექსი სომეხი არის ნამდვლი სახელი ჩუენის სალხისათჳს მისთჳს, რომელ უწოდებიათ ქართველთ გლეხთა და დაფუძნებულან თჳსის ქართულის ენითა ამ

უნამდვილო სასულიერზედ; და ნამდვილი ჩუენის ქუეყ-ნის სახელი არის ქართლოსი, ესე იგი ქართლის სახელი. გვაკადნიერებდა ოქსად, რომელი არს ღვთისაგან და არცა ერთის მთამომავლობისაგან არ გვწოდე-ბია ჩუენ ესეთი ნამდვილი და შესაფერი კეთილ-შობილური წოდება, როგორათაც გვწოდებია ჩუენ სწავლულთა და კეთილშობილთა ქართველთა მწერალთაგან: როგორათაც [illegible] ერი-ვნულიან, ეგრეთვე ქართლოსიანი: და ჩუენ საქართველოს მხრებმოქართლოსიანთ ნათესაობისათვის რაისათვის ესერი არ გვიცდია, მით უმეტეს რომელ ყოველი კაცი ხსენილობს უკეთუ აქენდეს ვისმე სახელი მდაბა-ლი ანუ წოდება თუგინდ ნამდვილიც იყოს, მაშინ სურს ყოველს კაცს შეცვალოს უკეთესს სახელზედ: ხოლო ჩუენ წინააღმდეგ ამისა ნამდვილი, პატი-ოსანი, კეთილშობილური წოდება შევცვალეთ უნამდვილოს, და ელენურს წოდებასა ზედა დავ-ფუძნებულვართ.

ამისთვის ვითხოვთ, რათა ვიწყოთ კეთილი აზ-რი და წმინდა ღვთისაგან გამოსულის გავრცელება ამა სახელი წოდებისათვის, ამა მიზეზით კვალად ვითხოვთ და მოვიწოდებთ ასულ-წულისათვის საყვა-რელთა ნათესავთა ჩემთა, რომელნი ამიერიდგან ქარ-თულის საუბრისა და ღრმა წერისასა ჩუენ

ხალხს უწოდებდნენ ნამდვილის ქრისტიანის წოდებით და არა თუ უნამდვილოს სომეხის წოდებითა, რომელიც არის უმეცრება.— მდაბალი მონა ნათესაობისა ჩემისა.

არხიმანდრიტი ანდრია ტერ-ღაზარიანცი.

---

## ქალთა ნაწარმოების გამოფენა ქ. ტფილისში.

---

უფალმა კავკასიის ნამესტნიკმა, მიაქცია რა საკუთარი თვისი ყურადღება ადგილ-მამულის მართვის ნაყოფიერების გაძლიერების განვრცელებისათვის უმაღლესის მინდობილ მხარეზედ *), აქვს რა სურვილი იქონიოს ზედამხედველობა ამ უმთავრესს სახელმწიფოში საგანზედ კავკასიის მხარეზედაც, ამასთანავე წაახალისოს რა ადგილ-მამულის მმართველნი ამ საზოგადოდ სასარგებლოს საქმეში, ინება: რათა განიმართოს კავკასიის ადგილმამულის მართვის საზოგადოებაში ყოველ წლივ გამოფენა ჩვენის მხრის სოფლების ქალთა ნაწარმოებისა.

ადგილ მამულის მმართველთ, უმეტესის ქალთა

ნაწარმოებისა განკარგულების ღონისძიების მიცემი-სათვის გამოფენა დაინიშნება წელიწადში ორჯელ, საქალაქოს: მაისის და ოკტომბრის ნახევარს, შემოდგომის და გაზაფხულის ნაყოფიერებითგან.

ამ 1860 წელს, გამოფენა დაიწყობა ოკტომ-ბრის თთვეში.

წარსადგენად მიიღებიან. 1) ხვნა-თესვის ნა-ყოფიერება სხვა და სხვა სახისა. 2) ნაყოფიერება ვენახისა, ბოსტნეულისა და სხვა და სხვა ყვავი-ლებისა. 3) სალები მცენარენი, სველნი, გინა გამხმარნი. 4) ქსოვილებით მომზადებულის მცენარეთაგანი: ბამბა, სელი, კანაფი, თამბაქო — გაკეთებული თუ გაუკეთებელი. 5) აბრეშუმის და ფუტკრების ნაყოფიერება. 6) პირუტყვთაგან გა-მონაცემი: ბეწვი, ყველი, ერბო და სხ. 7) სახ-ნავ-სათესის იარაღი. ყალიბი, თუ ნამდვილი. 8) სხვა და სხვა გვარი ღვინო ბუთილკებით; სპირტი, არაყი და ლიკორი. 9) ბეწვსაგან შემზადებული მაუდი, სალიჩები, ფარდაგები, ქეჩები და სხ. 10) მიტკალი, შემზადებული ბამბისაგან, კანაფისაგან, სელისაგან და სხ. 11) ქიმიკალსნით ანუ ლორწ-მისნით დაწნული ნივთი და სხ. 12) ტყავი, ბეწვეული და სხ. 13) ტანისაცმელი, ცხენის იარაღი, უნაგირი და სხ. 14) რკინის ნაწარმოები,

ფოლადი, თითბერი, — ვერცხლეული და ოქროული ნივთი. 15) იარაღითაგანი: ხანჯალი, თოფი და სხ. 16) თიხის ჭურჭელთაგანი: ხალჯნი, ბადია, წყლის გასაყვანი მილები და სხ. 17) მინა და მინის ჭურჭლეული. 18) სადურგლო და სასარაჯო. 19) მთის ქალთა ნაწარმოები 10) აღსაშენებელი მასალა: აგური, კრამიტი და სხ.

სხოლიო.

ა, წარსადგენელი, რომელიცა ქვიშის მსგავსია, უნდა წარიდგინებოდეს 5-დგან 10 გირვანქამდე.

ბ, ყოველმა წარმდგენელმა, თავისის სახელის, გვარის და ცხოვრების გარდა, უნდა დააწეროს ფასი, როგორც ისყიდება და ზომა თავის წარმოებისა.

გ, ყოველი წარსადგენელი უნდა წარიდგინებოდეს ზემოთ დანიშნულს ვადაზედ.

წასახალისებელი საჩუქარი დაენიშნებათ მისის ბრწყინვალების კნიაზის ნამესტნიკის ზედამხედველობით.

ნიმუშები წარიდგინებიან ამ ადრესით: კავკაზიის ადგილმამულის მართვს საზოგადოებაში.

## უპატივცემულესნო «ცისკრის» მკითხველნო!

---

ამ წიგნსა გწერთ თქუენ, და არა «ცისკრის» რედაკტორს, რომელმაც დამიბრუნა რამდენიმე ჩემი სალაყბოს ფურცელი და არ დამიბეჭდა ამ მიზეზით, რომ ვითომც ჩემს კალამს ძალიან თავისუფლებას ვაძლევდე: «მკითხველნი გვემდურებიან ვარდამეცის ლაყბობითაო.» არა თქუენი ჭირიმე ერთი მიბძანეთ, განა კაცს აეკრძალება სიმართლით ლაპარაკი? რისთვს გამოდის ჟურნალი? ჩემის აზრით ჟურნალი გამოდის მწიგნობრობის განცხოვლებისათვს, ხოლო მწიგნობრობითგან წარმოსდგება ყოველი სიმართლე, სიკეთე და ჭეშმარიტება. თუ ვსწერ რასმე, ღმერთმა ხომ იცის გულწრფელობით, ჩუენის ერთმამულეთ სიყვარულისათვს, სიმართლეს, რომლითაც შევიძლოთ რამდენიც შესაძლებელია ბოროტებას განვშორდეთ. მე ვემსახურები ჟურნალს, ჩემმა ჟურნალის წინაშე ნამსახურობამ რედაკტორის მეოხებით რათ უნდა ჩაიაროს? იმ ალაგს გამაჩერა და აღარა დამაწერინარა, საიდანაც ბევრი მქონდა სათქმელი: მე მოვგზაურობდი ტფილისში, ჯერ მეოთხედი

ნაწილიც არ გამესინჯა ტფილისი, რომ შემა-
ქენა და მითხრა: ამენის ლაყბობით შეიისწყალი
შეაწუხებთ.» — რა გავიწყობოდა. იქნება მკით-
ხველს აინობდეს უფ. რედაქტორი და ჩემი სტატი-
ები მიეაწნდეთ წინააღმდეგად, მაგრამ უკანასკნელ
ნომერში, რაღათ დაბეჭდა წიგნი თ. ალ. ორბე-
ლიანისა და თავისის მხრივ სხოლიოში ითხოვნა?
კიდევაც ვიწყობ ჩემის ფურცლების წერას, და
ვგზავნი ამასთანავე რედაქციაში ორს სტატიას,
რომლისათვისაც ვითხოვ, მეორე სტატია ხაბარდის
შესახები დაიბეჭდოს მეექვსეს ცისკრის ნომერში
და პირველი სტატია, სადაც ვწერ ჩემის გაჩუმების
მიზეზს, «ხაბარდის» შემდეგომში. მხოლოდ ამას
ვითხოვ, უკეთუ დამიპირეს კიდევ ადრინდელივით
ჩემის პირ და პირ და სიმართლით წერისათვის ხი-
დიდან გადაგდება, გაეცით პასუხი, თქვენ,
რომელთაც გიჭირავთ ჩემი სიმართლის მხარე.
მაგრამ, ვაი თუ თქვენც იმ მოწინააღმდეგეების
მხარე დაიჭიროთ? მაინც ფიქრთ არ არის? კალოსტრის
ანბავი ხომ წაიკითხავთ, აბა ის კალოსტ..... ექ,
თუნდა დარჩეს. —

თქვენი მორჩილი მოლიტვე.

## ხაბარდა. (*)

---

ტფილისს. 5 აპრილს 1860 წ.

(ქრისტეს აღდგომის მილოცვა მკითხველებთან. — განრჩევა პარიჟის და ტფილისის პალე-როიალის შორის. — საქართველოს ქალებისგან ტფილისის პალეროიალში ვაჭრობა. — ახალი მოდები. — სურო ლაზარეს ცოლის მოთისრობა. — ქალებისგნით ერთიერთმანერთის მიბაძვა. — აღრინდელი სამკაული და ახლანდელი. — შემთხვევითი სიკვდილი კარზეთის და ხაბარდისაგან. — ფრანცუზების აღებმიცემა. — დარიგება. —)

---

დღეს უნდა მიულოცო ბრწყინვალე ქრისტეს აღდგომის დღე საყვარელთა საქართველოს ნარნარათა არსებათა, რომელთაცა შეეხება ეს სტატია და რომელთათვისაც ვსმარობ ყოველს ღონის მიებას პატივისცემისათვის. — ამ მილოცვასთან, მოწიწებით ვით-

(*) ხაბარდა, ძალიან განიერი იუბკა რომ შემოიღეს ახლა, ამას ჰქჳა.

ხოვ მოკლე ცნობა იმ ზოგიერთის აზრის წარმოთქმისათჳს, რომელსაცა არ არის მეტი ყურადღებით წაიკითხვენ ნარნარნი და მშვენიერნი ქართველი ქალები. — ჩუენს ქალებს კარგათ მოეხსენებათ ის მაგნიტიზმური ძალა ცნობილის პალეროიალისა, რომლითაცა მოიზიდავს თავისს დამქცევს საფარველს ქუეშ ურიცხვს ქალებს, რომელიმე დღესასწაულის მოახლოების წინადღეებში, — მამასადამე ქრისტეს აღდგომის წინადღეებში ყოველი ქართველი კარგათ მიხვდება, ცნობილის პალეროიალი იქნებოდა ქალებით სავსე. ჯერ ერთი ეს უნდა მოგახსენოთ ბატონებო, რას ვეძახი მე ამ უცნაურს ჩუენთჳს სახელს «პალე-როიალი?» თჳთან ეს ლექსი თავის-თავად გაჩუენებთ თავისს თავის წოდებასა, რომ ფრანციის მხარეს ეკუთვნის და, არის იმ სახელთაგანი, რომლითაცა იდიდება პარიჟის ქალაქი. — მე გახლებივართ ბატონებო პარიჟში და მინახავს ის დიდრონი შენობები, რომელნიცა თამაშობენ უპირველესს როლს მთელს ფრანციაში. პარიჟის ქალაქში ოთხი რამ გახლავსთ (რასაკვირველია სხუების გარდა) უფრო მეტად ღირსი ყურადღებისა: პირველი, დიდი სასახლე, რომელსაცა ეძახიან ლუვრს და, რომელშიაცა მდგარან ადრე ფრანციის კოროლები; მეორე, აგრეთვე დიდი

სასახლე, რომელსაცა აქვს ლიუკსემბურგ და, რომელიცა ეკუთვნის ერაფს პროვანსკის. ეს სასახლე გახლავსთ აღშენებული, როგორც შემოჰყვა პარიჟში მცხოვრებთაგან, კაროლის ცოლის მარიამ მედიცისაგან; შესამე, სასახლე აგრეთვე დიდი, რომელსაცა ერქმევა ტიუილერი და შეიცავს პალე-როიალ. ეს უკანასკნელი ლექსი რომ ვთარგმნოთ ქართულად, ეგრეთ: პარიჟის გული, ანუ სული პარიჟისა, გინა პარიჟის ტვინი. სხვა გვარადც შეიძლება ამისი თარგმნა,—პარიჟის დროის გამტარებელი. ეს გახლავსთ დიდი ქარვასლა, აღშენებული რიშელიესაგან, რომელსაცა შემდგომ უბოძებია ფრანციის კაროლის ლიუდოვიკ მეცამეტისათვის და უკანასკნელისაცა გარდაუცია ჩუქებითვე ორლეანის ერცოგისათვის. მაგრამ ეს უნდა მოგახსენოთ ახლა: რას არა ჰპოებთ იმ საშინელის შენობაში? მაღლის ეტაჟის მცირე ნაწილი როდესაც მე იქ ვიყავი ეჭირა ერცოგის ორლეანის ჩამომავლობასა, ახლა კი არ ვიცი ვის ეჭირა. ხოლო სხვა დანარჩენი ნაწილი მისაჯარობს მთელს პარიჟის საზოგადოებას დროის გასატარებლად. ამ სასახლეში ნახავთ ჩინებულს წარმოდგენებს, კონცერტებისათვის დარბაზებს, კლუბებს, მაგაზინებს, ტრაკტირებს, რესტორაციებს, ლავქებს, მშვენიერს ჩინებულს ბაღს, რომლისა სამუალო ამოდის შადრევანი. აქ ნახავთ სხვა და სხვა ქეწყენებითგან

მოსულს ხალხსა, რომელთაცა უჭირავთ ქირით სადგომი; იქ მიაქცევენ თქუენ ყურადღებას მშუენიერნი ნიმფები; აქ ბუდობენ საზიზღარნი პირნი. რასაც კი ადამიანი გულით მოიწადინებს, შეუძლიან მოიპოვოს პარიჟის პალეროიალში: გსურსთ იქონიოთ კარგი კაბა მზათ შეკერილი, ან წამოსასხამი, მიბძანდით პალეროიალში, პირველ-ლი ჩაიცვით, მეორე წამოისხით და გამობძანდით; გსურთ იქონიოთ რამდენიმე მინუტში თქუენი სადგომი კარგათ გაწყობილი, მიბძანდით და რამ-დენსამეწამში გაგიწყობენ ისე, როგორც თქუენი სურ-ვილი გასლავსთ.ერთის სიტყვით, რას მოიწადინებთ რომ იქ არა ჰპოვოთ. შეიძლება მთელი თავისი სიცოცხლე გაატაროს კაცმა პარიჟის პალეროიალში და სიკუდილის წინათ გაბედვო ჰსთქუას: ყოველისფე-რი ვნახე ქუეყანაზედ და ყოველისფერი შევიტყევი!...

ტფილისის პალეროიალი თუმცა ყოველში არ ემსგავსება პარიჟისას, მაგრამ ზოგი ერთში კი შეიძლება დავამსგავსოთ,—მაგალითად: რა მო-იწადინოთ, რომ ტფილისის პალეროიალში არა ჰპოვოთ, ესე იგი თამამშოვის ქარვასლაში. რა ჯუურა წამოსასხამიცა გსურთ, მიბძანდით ტფილისის პალეროიალში, წამოისხით და გამობძანდით. მაგ-რამ, როგორ გამობძანდით? ესეც უნდა მოვახ-

სცნით ჩემო ჴელმწიფევ! დაიქცით, დანელდით და ისე დააღწიეთ თავი ამ ანდამატის შენობასა! თქვენა გაქვსთ ასლა სრული უფლება, კეკლუც-სახის მაცთუნებლობა შეიმოსოთ დაღრუბლულის მე-სყდულობით, ცამოწყრეთ და მიბძანეთ: დაიქცევით თუ დაგნელდებით, ეგ თჳთან ჩვენი საქმეა და არა შენი! ამასთანავე. უკაცრავათ, — ჩვენ უფრო-კარგათ ვიცით, ან რაც იმოგება ტფილისის პა-ლეროიალში, ან ვის რა წამოსასხამი, ან ვის რა თავზედ მოსასხმელი აქვსო!... საბუთიანი ნიშანება გასლავსთ თქვენი გირიმე! თქვენ ყოველივე მოგეხსენებათ უკეთ და ყოველისავე ქალის სამკაულის ფარეშობა იცით. თქვენ გიპოვავთ კელში სია, ყოველის ასალის მოდებისა, იმ მოდებისა, რომელიც გამოსულა მოდის სამზღვარითგან პარიჟში და თვითქმის მართეულს ფრანციის სოფლებში, სადაც ალირცკი-კადრულობენ ჩაიცვან და აქ მიგვხსნიათ უპირვე-ლეს მოდად....

ზემოთა ვსთქვ: ალიგომის წინადღეებში ტფი-ლისის პალე-როიალი იყო სავსე ქალებითა მეტად. მართალია-დაც რომ, დილიდგან მოკიდებული ვიდრე სალამომდინ, კაცი გზას ვერ აუქცევდა ისე ირე-ოდნენ ქალები. რასაკვირველია უკანასკნელი ლო-ნის-მიება რაც რამ ვის ებადა სახლში, აქ მოიტანდა

ვაჭრის ქისის ასავსებლად. რა გგონიათ, მე ვიცი იმ ქალებთაგანი ზოგი იმისთანა, რომელსაცა დუქნიო-ბით უწყჳა შინ კაბები, თუ წამოსასხამები, მა-გრამ რას იტყჳთ: ის მოდიდევან არის გამოსუ-ლი და ახლა სხუა არის შემოღებული, ისინი აღარ ვარგანანო. უთქჳამს თავისის ქმრისათჳს. ამას გარდა, თუკი ამა და იმ პოის სომხის ცოლს აცჳა და ასხია, მე რაღა ვარო? ამასკი აღარ წარ-მოვიდგენთ თვალწინ, რომ ამ გვარ საქმეებში მიბაძუა ადამიანს დაღუპავს; იქამდინ დასმულია (თქუენ არ მოგახსენებთ არ იწყინოთ) ჩუენი გონება, და არ გვესმის რომ, ღირსება კაცისა სამკაულში არა მდგომარეობს! მილიონსა კარაპე-ტყას ცოლს რაც გინდა ჩააცვა, მაინც იტყჳან: კარაპეტყას ცოლიაო. ასე გასლავსთ თუ არა ჩემო ქალმწივთაო? კაცს, სახლის უფროსს შეაქჳს შინა ჯამაგირია, თუ სხუა მამულის შემოსავალი იმდენი, რაც რამ აბადია და მიუცია თავისს სჳესს; ცოლი ჰსთხოვს მოდებს, ქმსა ნებას არ აძლევს. სახლის მეუფროსეს და თავისს სამღრთო ამხანაგს მოსდით ერთმანერთში ლაპარაკი, საიდგანაც წარმოსდგება სახლის უბედურება და, ეს სახლის უბედურება ამო-რის ღმერთმა ყოველს სახლს. ზოგი ისეთი სუს-ტი კაციც გასლავსთ, რომ ემორჩილება რა თა-

ვისს სუსტს ამხანაგს,—საიდგანაც არის და არ არის შოულობს, რასაკვირველია ან სუსხით, და თუ იმ გვარის სამსახურის კაციც გასლოვსთ, იღებს მომა-ცდებით ქრთამს, ჭყვლეფს ხალხს, ცრცვნის და ულსრულებს ნებას თავისს დამქცევით ერთგულს მეუღლეს. ეს კიდევ არაფერი რომ აღარიბებს ქმარს,—არღვევს საღმრთო მოვალეობას და იზი-ნებს ბოროტებას ასე რომ ეს ბოროტება ედების ამისს შემდეგომ მდაბალს ხალხში. ეს მდაბალი ხალხიც მაღალს უყურებს,—ისიც ისე მოგახსენებთ, თუკი ამა და იმ თავადის_შვილის ცოლს, გინა კეთილ-შობილისას, გინა ჩინოვნიკისას ასე აცვია, მე უფრო არ მომისდება. მიდის ესეც, მისდევს იმათს კვალს და, ისე აღარიბებს უმისოთაც საწ-ყალს თავისს ქმარს, რომ მოვალეები ბოლოს ცისემაცაა სმენ,—ცოლი რჩება მარტოდ, ითქვევს ორის ქლით თავს და რაც გადახდება მარტო-ქალ ქალს, თვითან იფიქრეთ. რამდენი მაგალი-თები გვიძევს წინა. თუ გნებავსთ იმათგანს ერთს მოგახსენებთ, თვითან ჩვენის თვალებით ნახულს: მეზობლად ამ ახლოს ხანში ერთი საწყალი ხურო გვიდგა, თუ გნებავთ სახელსაც მოგახსენებთ. ამ ხუროს ერქვა ლაზარე. საცოდავს, თავისს სიცო-ცხლის ორმოცის წლის განმავლობაში და ოცის

წლის დღე და ღამ მუშაობაში შეკრიბა ათი თუმანი ფული! შეირთო ბოლოს ცოლი; ეს ათი თუმანი რასაკვირველია მიბარებული ჰქონდა ცოლთან, როგორც თავისს ერთგულ ამხანაგთან. გამოვიდა რამდენიმე ხანი, ჩუეულებრ ხურო ლაზარე გადიოდა დილით და შემოდიოდა საღამოზედ. ამ დროს ჩუენ ქალებში განისმა ხმა „ახალი ფარჩა შემოსულა მოდათა და ყველანი იყირამენო." ამ ხუროს ცოლს, გვერდით ერთი დიდის კაცის ცოლი უდგა, თავისს საუბედუროთ აკი ამისს ცხვირზედ არ დაინახა ეს ახალი შემოღებული ფარჩა, — მოეწონა მეტად, იმ ერთის მელასავით კბილები აუკაწკაწდა და იფიქრა: „მოდი მეც შევიკერამო, მობარებულის ფულებითგან დავხარჯამ, მაინც ხომ ქმარი ჯერ არა მიხოვს, შემდგომს ქალსაქმეს გავაკეთებ, ცოტ-ცოტათი მევაერთვებ და ისევ შევამსებო. ამ ფიქრით ამ ჩუენმა პატიოსანმა ხურო ლაზარეს ცოლმა დიდის შრომით და დიდის ღვაწლით მოგებულის ათის თუმნით ტფილისის პალე-როიალში კი თავი ამოყო. თქუენ რა გგონიათ, დიდ გულათ და ამაყათაც შეიძახოდ ხან ერთს დუქანში, ხან მეორეში „ანტეიკ მორა სად ისყიდებაო?" ამ ანტეიკ მორამ კარგი საქმე დამართა! ორის თუ სამის კვირის

შემდეგომ ლაზარეს ცოდვები ეყიდნა, მეტადე სას-
ლში ამოიყვანა, შინ მომყვები ფულს იქ მოგ-
ცემო და რა ცოლის ფული მოითხოვა,— თქვენ
მტერს დასდგომია ის დღე, რა დღეც იმას და-
ადგა!... სამი დღე ბოძზედ მიკრულს ანტიკ
მორას მსყიდველს იმდენი ჰსცემა, რომ სიკვდი-
ლად მიიწურა. ვერც მეზობლების თხოვნამ და
ვერც მეგობრებისამ ვერ უშველეს. საცოდაობამ
დამწვა: ცალკე ცოლის გაჯოსამ, ცალკე ლა-
ზარეს თავში თქვეფამ და ტირილმა, რომელიც
ვებით გაჭკიოდა, ახლა რა ვქნა, რომ ლუკმა
პური ვამიწყდა. ახლა ეს მიბძანეთ თქვენი მე-
რიმე ბატონებო, ეს მადლი ვასლავსთ ჩვენთვის?
რასაც მაგალითს ვაჩვენებთ ჩვენზედ მდაბლის
ხალხსა, ისინიც ვარწმუნებ ისე მოიქცევიან.
ადრე რათ იყო კმაყოფილებით ცხოვრება? ჭეშ-
მარიტად მე მინახავს ერთის პირველის საქართვე-
ლოს თავადის_შვილის სახლის ქალს ადრე აბა-
ზიანი ნაშურის კაბა ეცვა, მაგრამ მიდდისა კა-
რაპეტას ანტიკ მორა ჩაცმულის ცოლის და იმ
დიდ კაცის ქალის შორის დიდი განსხვავება იყო.
ტანისამოსი ეცვა მდაბლის ფარჩისა, მაგრამ
ყოველივე შინაგანი თუ გარეგანი თვისება იმისთანა
ჰქონდა, რომელიცა მილლიონში ახლა ერთი არ

მოიპოვება... რამდენს რა დაუგირავებია ახალი სახლის ნივთი და რამდენი რა მოუტყუებია სხვის ტანისამოსისათვის ვინ იცის!... იქნება არც ეს დამიჯერეთ და, ერთი მებურნუთის ცოლია, დიახ, სწორედ მებურნუთისა, გვარიც... ეჰ, თვითონ მიხვდებით, რადგან საჭიროა გვარის გამოცხადება და, იმისი სალონი რომ ნახოთ, უეჭველია ასორმოც თუმნად დააფასებთ. ეს ას ორმოცი თუმანი ერთის გვარიანის მამულის ფასია, რომელითაც შეუძლიან კმაყოფილებით დაირჩინოს თავი ერთმა ოჯახმა. ჯერ ერთი ეს უნდა მოგახსენოთ რომ თვითონ სალონის პირი გადაკრავსთ უძვირფასესი (თქვენ რომ ემასით) ბანოშის ხავერდი, ბეწვ სარუქარად.... არ ვიცი შემშვენიერად როგორ დავიხატოთ, ამისთვის რომ სიმშვენიერეც არსად მონახავს. ყველიან მოსაკრავი ლილი ჩინებულის ბროიდერიის აქეთ!... ოჰ! ქვეყნის ოსტობაც! კიდევა გნიგით, ყოველი ფერი მკრთალი! მოდი ნუ იქნება შური. სად მოვიცადოთ იმდენი, რომ ასე ჩავაცვათ ჩვენ ცოლს? უეჭველია, თუ მებურნე ვარ ჰყავს მდიდარ გვერდი, თუ სოფლის ლხინის გავამზადეთ რომ იმდენი ფული, რამდენიც ეყოფოდეს ჩვენს ცოლის ჩაცმა დახურვას. მაშ არ ჩავაცვათ? არ ჩავაცვათ და, ბარემ მოიხადეთ სასთუმალიდან ჯოჯოხეთქო!

თუნდა ავიღოთ კიდეც, რომლის ქუეყნის კუთ-ხეში გადავიკარგო, რომ ჩემმა ცოლმა (ჩემია თუ სხვისა, მე ვარ თუ სხვა.) არ მომძებნოს, დღეში ორმოცი სახჩევარი არ შეიტანოს სასამარ-თლოებში, ორმოცს ალაგს კბილები არ აღრჭენოს და იძახდეს: ქმარი არ მინახავსო. თუ ახლაც მოვკვდე დიდა არ ჩაიცვამს, შენახვა ხომ არაა ჭირია. ხმა და ჭამას ვინ უყურებს, ცანს უყურებსო! აჰე მოვახსენებენ! აფურუმ! აჰ განათლებაო! რომ არ იყურებთ, სალსი განათლდით. განათლება არ არის შავ რა ეშმაკია! ..

სამარე? სამარეზედ რისთვის ბძანებთ? სამარ-ედაც მოდით გასინჯავთ შემოდგომული? არა, რა მოდა თქვენი ქორწილზე მაშინ, როდესაც რომ ქალსა, როგორი ქალს? ესეც უნდა მოგახსენოთ, იმისთანას ქალს, რომელიცა ისრე რომ დავუყე-ნოთ, სწორედ ერთი ცოდა ალაგი უჭირავს, — და თავისის სამარეით იმოდენი ალაგი უჭირავს და იმოდენი დედა მიწის სიგრძე, რომელზედაც შეიძლება ივოქმის ათი კაცი მოთავსდეს! მამა გაუცხონე იმისი, ვისაც თავ-და-პირველად დაურ-ქმევია სამარე. მოდი და გზას ნუ დაუგდებ! მე გავზომე ერთს მაღაზიაში ეს სამარე, რომელსა-ცა გამოუვიდა გარშემო რვა ადლი, მაშასადამე

ქართული დიამეტრი, ესე იგი ორათ რომ მოვ-კვეთოთ გამოვა თითო ადლი. თითო ადლი! ერთს დღეს ქართულს დარბაზში ამის მისედვით ათი ქა-ლიც არ მოთავსდება! რასაკვირველია ეს ჩემგნით ზემოთ აწერილი ყოველს საქართველოს ქალს არ მიეწერება, ღმერთმა გვაშოროს, მაგრამ თქვენ ეს მიბძანეთ, ბევრნი არიან, რომელნიცა მისდევენ მამაპაპების ჩვეულებას? გაბედვით შემიძლია მო-გახსენოთ, — ძალიან ცოტანი. ისიც თუ არიან უფრო სოფლებში, სადაც ამ ტანისამოსის სიყვარულის სნეულებას ჯერეთ იქამდის არ მიუწევია!... პარიჟის ქალებმა თვითქმის ყოველ დღეს სხვა და სხვა მოდის კაბებს მართალია იცმენ, მაგრამ ჩვენ რომ იმათ მივბაძნეთ ძალიან შორს მოგვაწო-რე მოგვიხსენოთ. იქ ყოველი ფრანცუზი, დიდი თუ პატარა, მდიდარი თუ ღარიბი, მაღალი თუ მდაბიო გვარობით გამოდის, ამას გარდა უმეტესს ნაწილს აქვს თავისი საკუთარი ფარჩების ქარხანა; ყოველი კაცი იქ იმას ცდილობს იმისთანა ფარჩა გამოიყვანოს თავისს ქარხანაში, რომელიცა ჯერ სხვაგან არ იყოს. გამოიყვანს თუ არა, რასაკვირ-ველია ჯერ თავისს სახლობას შეჰმოსავს, რომ სხვებთაც რა დაინახონ ფასით სხვა ქვეყნებში გა-დაგზავნონ. თავისს საკუთრებას თავისს საკუთრებო-

სათვს იხმარებს. ჩუენ? ჩუენ, როგორც ჩუენში იცყვან, ის ფარზა, რომელიცა სამი ოთხის წლის შემდგომს ჩუენკენ გადმოასწევს, იქგი მოდიდან დიდი ხანაა გადაკარგნილია, მამასისხლით უნდა ვიყიდოთ და, ეს მამასისხლის ფასი საიდამ უნდა მოვიყვანოთ? დავიჯეროთ რომ მომცვანის შეძრალება არა გქონდეთ? შეძრალება კი გაქუსთ, მაგრამ ბალა ეს არის, რომ თუ არ მოდის ცანისამოსით როგორ დაუნასკვებით თქუენ მცირობებს ქალებს, რომელთაცა არ არის ეჭუ მოღურად ეცუმესით. ეს უბედურებაც არის ჩუენში (მომიტევვეთ სულგრძელებით ამ კადნიერებისათვს. რა ვქნა. ღმერთმა ხომ იცის, თქუენის სიკეთისათვს, ჩუენის ზნეობისა დასაცუწლად მოგასსენებთ) რომ ერთიერთმანერთსა ა სძულსენ!... ეს ხომ მოგასსენეთ, რომ მოდეები ქასის დამქცევნი არიან, ახლა ეს უნდა მოგასსენოთ, რომ მოდებს ზიანიც ბევრი მოაქუსთ, თვთქმის სიკუდილიც! ახლა ამაზედ ცათცდებით და მიბმანებთ, ეგე შესაძლებელი არ არისო!» შესაძლებელი კი არა, მე ფაკტებით მოგასსენებთ ამასა. არ არის დიდი ხანი, რაღა დიდი ხანი, ამ წარსულს ყველიერში, პეტერბურღში ერთის დიდი კაცის ბალში, გასათხოვარი ქალი როგორღაც სამთელს მიჰკარებია, წაჰ-

კიდებია იმისს სამარლის ცეცხლი და მიმომფრენ-ველნი ქარებიც იმასთან დამწვარან,—რამდენიმე! აჰ ესეც თქვენი მოდა!... ახლა სხვა მაგალითს მოგახსენებთ: ერთი გასაოცარი ქალი, ჰარიეტის მარტელ სახოგადოებაში, კიდევ ბალში (საქალ-განთქმულის გაზეთებიდგან ვიცით და ამისთჳს მოგახსენებთ) ცანცარობის დროს უეცრად წაიქცა თურ-მე და მოკვდა. მეორეს დღეს მთავრობამ ინება გაჭრა, თუ საიდგან წარმოსდგა ეს უეცარი სი-კვდილი. ჭკაიმებმა რა გასჭრეს და შეამოწმეს, ნა-ხეს რომ კარზეთებისგან იყო მკუდარი. თურმე კარზეთების მაგიარის მოჭერით, გულღვიძლი შეიწროებინა ისე, რომ დაიჭყლეტოდა და მოგახსე-ნებით გულის იარა ადვილი მოსარჩენი არ გახ-ლავსით!... ბატონებო! არა, რაზედ იწნევით საქ-მეს? რაზედ ამოსებთ თქვენს მკერდასს თავი-სუფლების უბრალოს უსულოს საგანს? რამდენჯერ რა შევხვედრივარ სადილზედ ზოგ ერთ ქალს, რო-მელიცა მშიერი ამდგარა და ფერ წასულს გაუწე-ვია მისისკენ, რა არის მოდურად მორთული ვიყო და ჭამას ვინ დასდევსო!... კარგი სამლოთ წე-რილის კანონების აღსრულება გახლავსთ, სადაცა გვიწერს: «დედაო» წესიერებისა სამკაულითა მორთუ-ხვედ და ღირსებით შემკობად თავისა თჳსთა

არა განსიძვთა; ანუ ოქროთა, ანუ მარგალიტითა, ანუ სამოსლითა დიდ ფასითა. არამედ რომელი იგი შვენის დედათა, რომელთა აღუთქუამს ღმრთის მსახურება... (1 ტიმოთესი, თავი 2 მუხ. 9.) ჩვენ ეს საკმაო გასწავლოთ. ამას გარდა, რომ გამოუდგე ბევრი რამ სათქმელია და თუ გვერმელდა, ჰვასკრისი რეთაკვეთრივ ად-რინდელსავით არ დამიყვედრავს, მოვასწყნებ ერმე-ლის სჯავეთის ბრძენთა ცისკარში არ შემომყვება. უმეტესად ამ გვარების, რა გასწყობა, უნდა, ჩვენს სუსტს კალამს ცოტათი მეწყობა მივცე ვიდრე ცისკარი გაიზდებოდეს და საბაროდის ცო-ლად შეიქნებოდეს... უკანასკნელში ამას მოვახ-სენებთ მოწიწებით ბატონებო! დროა, მივდიოთ მგელის საქართველოს ქალების ზნეობასა, წაიკით-ხეთ ყურადღებით უუ. დიმ. ყიფიანის და დიმ. ბაქრაძის სტატიები, საქართველოს ქალების შე-სახებ; ჰნახავთ თუ როგორ კეთილზნეობისანი ქალები ჰყოლია ჩვენს საყვარელს მამულს დროთ მივდიოთ იმათს კვალს: ვიკითხოთ, ვწეროთ, შევიქნათ ბეჯითნი სასიკარის მმართველნი. ეს მოვალეობა აწევს ჩვენთა დედათა, — ჩვენს ქა-ლებს. გარწმუნებთ, რომ მაშინ დიდი სიმდიდრე მოვა ჩვენშიაცა, თუ არა და.... ეხლა დამავიწ-ყდა, დღეს სალამოზედ ერთის მცნობის დიდკაცის

სახლში ვეჩერი გახლავსთ, იქ წასვლასაც ვაპირებ, ქალები ბევრნი იქნებიან, — როგორ ბევრნიარ იყვნენ, მაშ არ აჩვენონ ერთმანერთის თავიანთი სადღეგთ-მოთ შეკერილი მოდის კაბები!...

მოლ:ყბე.

---

მოწყალეო ჩემო, თავადო

ალექსანდრე გარსევანის ძევ! (*)

---

თქუენი მიწერილი უფალს რედაკტორთან წაგვიკითხე, რომლითაცა კითხულობთ ჩუენს მებუკეების ამბავს: ცამ ჩაყლაპა თუ დედამიწამაო?— არა, აქ გახლავართ მიწამდე თქუენი ბრძანების მორჩილი.

ესურთ ზოგთ დაგვარქვთ მოლაყბე;
ესურთ ზოგთ ბატონის ავყია,
ვინდა ჰსთქვთ ცუდათ მაშურალი
ვით კრუხის კვერცხი ლაყია.

მე ერთ მებუკეთაგანს,—ავყიას, აქამდინ მეძინა, სიზმრებში ვიყავ, სიზმარსაც თავის სამეფო აქუს, იქაც ჩუენსავით ხალხია. მზე დგას და მთვარე. ბევრი შესანიშნავი ვნახე, თუ მიბძანებთ ვეცდე-ბი ყველა გიამბოთ. ვის რა დავა აქუს? ნურავინ მიიღებს თავის თავზე! მე რა, ან თქუენ რა?

უკაცრავოთ, ეხლა ჯერ კიდევ არა ვარ ძილი-საგან გამორკვეული. მშვიდობით! ნახვამდე!

ავყია. (ერთი მებუკეთაგანი.)

ქ. გორს.

---

(*) ეს—ეს არის მივიღეთ ეს წიგნი, რომელსაცა ვბეჭდავთ სიამოვნებით. რედ.

## განცხადება.

---

უფალი გაბრიელ ირიცფუსოვი გვთხოვს ვაცნობოთ ჩვენის «ცისკრის» მკითხველთა, რომ თავისს პანსიონში, რომელიცა გახსნილი აქვს ქ. ტფილისში უმაღლესის მთავრობის ნება დართვით ყმაწვილების სასწავლებლად, მოუმატა სხვა და სხვა ენები და საგნები. ამ პანსიონში ასწავლიან იმდენს, რასაც ასწავლიან გიმნაზიის სამს კლასში ასე რომ, რომელსაც აქ ასრულებს კურსს და გადაჰყავს ყმაწვილის მშობელს გიმნაზიაში, იქ იღებენ მეოთხეს კლასში. სწავლის საგანნი არიან ამ პანსიონში შემდეგომნი: 1, საღმრთო წერილი, მართმადიდებელთ სარწმუნოების. 2, საღმრთო წერილი ჰაოსიანთ სარწმუნოების 3, არითმეტიკა. 4, ალგებრა. 5, გეომეტრია. 6, საზოგადო ისტორია. 7, რუსეთის ისტორია. 8, საზოგადო გეოგრაფია და 9, მცენარების ისტორია.— ენებთაგან. 1, რუსული ენა. 2, სომხური. 3, ქართული. 4, ფრანცუზული. 5, ლათინური. 5, ნემეცური. 7, თათრული — ამას გარდა ასწავლიან მხატვრობას, კარგათ წერას, მუზიკას, (ფორტოპიანოს დაკვრას ანუ სკრიპკას, რომელიცა ჰსურს

მოსწავლეს მშობელს.) და ტანცაობას. — ამ პანსიო-ონში არის სამი კლასი. ამ პანსიონსა ჰყავს საკუთარი ჰაქიმი. ვინიცობა არის მოსწავლე ავად შეიქნა, მხოლოდ წამალზედ გასავალი ეკუთვნის მშობელს. პანსიონში მიიღებიან სრულს სარჩზედ ანუ ნახევარ სარჩზედ. სრულს სარჩზედ მიღებულს გამოერთმევა 240 მანეთი წელიწადში, ხოლო ნახევარ სარჩზედ მიღებულს 126 მანეთი. ფულის შეტანის ვადა დაინიშნება წელიწადში ორჯელ ყოვლის ნახევარ წლისა პირველად: იანვარში და სეკტემბერში. ამავე დროს მიიღებიან პანსიონში მოსწავლენი. რვა წლისაზედ ნაკლები ყმაწვილი ვერ მიიღება. პანსიონში იქნებიან მოწავენი მხოლოდ 40-ამდინ. სრულს სარჩზედ რომელიც იქნება, ის არის დღე და ღამ პანსიონში, ხოლო ნახევარ სარჩზედ რომელიც იქნება, იმას მხოლოდ ეძლევა სადილი და სადამოზედ თავისს სახლში მივა. როგორც სრულს სარჩზედ, აგრეთვე ნახევარ სარჩზედ მყოფთა, პირველ მიღების დროს უნდა შემოიტანონ თავისი საკუთარი საწოლის და ჩაის კოვზი, აგრეთვე ექვსი სალფეტკა და ქვეშსაგები. მუზიკის სასწავლებელი ფული შემოიტანება საკუთრად წელიწადში 40 მანეთი, ხოლო ტანციობისათჳს 10 მანეთი.

უკეთუ კანიკულებში ისურვენ მშობელნი დარჩეს თავიანთი შვილი პანსიონში, რომელიცა გადაიტანება სოლომე ზაფხულში ქალაქს გარეთ, მაშინ ორის თვისათვის უნდა შემოიტანონ 30 მანეთი. პანსიონი ესე იმყოფება სოლოლაკზედ საკუთარს ოროცფუხოვის სახლებში. —

---

წარსულს თთჳეში ცისკარს მოემატნენ შემდეგომნი ჴელის მომწერნი.

---

თ. გიორგი ჯავახოვი.

თ. თადეოზ გურამოვი.

პეტერბურღის უნივერსიტეტის ბიბლიოტეკა.

გრიგოლ წინამძღვაროვი.

გორის უეზდში.

თ. ივანე ციციანოვი.

თ. ქაიხოსრო ავალოვი.

თელავის უეზდში.

თ. გიორგი მაყაევი.

მიხეილ რუსიევი.

ჳა ანბავი.

სალაყბოს ფურცელი . . . . . . მოლაყბისა.
განცხადება. რედაქციისა.—

---

# ხელი მოეწერება

## 1860 წლისა.

ქ. ტფილისში, ქართულის ჟურნალის «ცისკრის» რედაქციაში, კუკის, კერესელიძის სახლებში.

ფასი ერთის წლის გამოცემისა, ქ. ტფილისში გაუგზავნელად ექვსი მანეთი, ხოლო შინ მიწოდებით, ანუ სხვა ადგილებში გაგზავნით: შვდი მანეთი თეთრი ფული.

რედაქცია ჰსთხოვს «ცისკრის» ხელის მომწერთა, ვისაც ჟურნალი დააკლდეს და დროზედ არ მოუვიდეს, მაშინვე აცნობოს რედაქციას, ესრეთის ზედ წარწერით:

«ცისკრის» რედაქციაში, ტფილისს.—

Печатать позволяется. ~~Апрѣля~~ Мая 10 дня, 1860 года.
Испр. должн. Груз. Цензора Св. Алексѣевъ.